განკარგულება:**g-31. 31251472**
თარიღი:**27/05/2025**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №21

2025 წლის 27 მაისი

ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, 115-ე მუხლის პირველი ნაწილის, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 და 36-ე მუხლის მე-2 პუნქტების შესაბამისად,

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს გადასცეს, ა(ა)იპ „ოდა ქეარს“ (ს/კ 437373156) ორი წლის ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, კერძოდ ქ. ლანჩხუთში, ნინოშვილის ქუჩა N37 - ში მდებარე 239,17 კვ.მ. ფართი (ს/კ 27.06.52.141.01.500). უძრავი ქონების წლიური ქირის ფასის ოდენობა განისაზღვროს, სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2025 წლის 02 თებერვლის N000692925 საექსპერტო დასკვნის საფუძველზე, დადგენილი ფართის მთლიანი ღირებულების 198750 (ასოთხმოცდათვრამეტიათას შვიდას ორმოცდაათი) ლარის 7% -ის ოდენობით, რაც შეადგენს 13 912,5 (ცამეტიათას ცხრაას თორმეტი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ხოლო ყოველთვიური ქირა შეადგენს 1 159,37 (ათას ას ორმოცდაცხრამეტი ლარი და ოცდაჩვიდმეტი თეთრი) ლარს.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი